

სარეზიდენტო პროგრამა

„ორთოპედიული სტომატოლოგია“

(ხანგრძლივობა – 15 თვე)

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

1. ორთოპედიული სტომატოლოგია არის სამედიცინო სპეციალობა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-პრაქტიკული სამედიცინო დისციპლინა. იგი კლინიკური მედიცინის სფეროა, რომელიც სწავლობს კბილების, ყბების, პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ორგანოების დაავადებების, დეფორმაციების და დაზიანებების ეტიოლოგიასა და პათოგენეზს, შეიმუშავებს მათი დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის მეთოდებს ორთოპედიული აპარატებისა და პროტეზების გამოყენებით.
2. ორთოპედიული სტომატოლოგია არის ზოგადი სტომატოლოგიის შემადგენელი და ზოგადი ორთოპედიის დამოუკიდებელი ნაწილი. იგი არის მეცნიერება ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების და შექმნილი დეფექტების, ორგანოების დაზიანებებისა და დეფორმაციების შემეცნების, პროფილაქტიკისა და მკურნალობის შესახებ. შესაბამისად, „ორთოპედიული სტომატოლოგიის“ სარეზიდენტო პროგრამის მიზანია ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების და შექმნილი დეფექტების, ორგანოების დაზიანებებისა და დეფორმაციების შემეცნების, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდების, კერძოდ, ფუნქციონალური, საპროტეზო, აპარატული და აპარატულ-ქირურგიული მკურნალობის მეთოდების, დაუფლება.
3. ორთოპედიულ თერაპიაში წამყვანი ადგილი უჭირავს პროტეზირებას. მისი ამოცანაა არა მარტო კბილთა მწკრივისა და ალვეოლური მორჩის დეფექტების აღდგენა, არამედ ორგანოს (ორგანოების) შემდგომი დაშლისა და დაავადების რეციდივის თავიდან აცილება. პროტეზი არის სამკურნალო საშუალება, რომლის სწორი გამოყენება სამკურნალო და პროფილაქტიკური ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა.
4. ორთოპედიული სტომატოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის ძირითადი ამოცანაა გამოუმუშაოს რეზიდენტს/საექიმო სპეციალობის მაძიებელს დაკვირვებულობა, დანახული, მოსმენილი, გამოვლენილი სიმპტომების ლოგიკური გაანალიზების უნარი, რათა შემდგომ იგი დაუკავშიროს ერთიან პათოგენეტიკურ პროცესს, დაასაბუთოს ორთოპედიული ან კომპლექსური მკურნალობის გეგმა და პაციენტის წაყვანის ტაქტიკა.

მუხლი 2. სპეციალობის აღწერილობა

1. სპეციალობის და სპეციალისტის განსაზღვრება (დეფინიცია) ორთოპედიული სტომატოლოგია წარმოადგენს სტომატოლოგიის დამოუკიდებელ სპეციალობას, რომელიც ისევე, როგორც სხვა სამედიცინოს სპეციალობები მოითხოვს დიპლომის შემდგომ პროფესიულ განათლებას და

უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

2. ორთოპედიული სტომატოლოგია მედიცინის ის დარგია, რომელიც შეისწავლის კბილების, ყბების, პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ორგანოების დაავადებების, დეფორმაციების და დაზიანებების ეტიოლოგიასა და პათოგენეზს, შეიმუშავებს მათი დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის მეთოდებს ორთოპედიული აპარატებისა და პროტეზების გამოყენებით.

3. ორთოპედ-სტომატოლოგი არის სახელმწიფოს მიერ სერტიფიცირებული ექიმი, რომელიც ახორციელებს კბილების, ყბების, პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ორგანოების დაავადებების, დეფორმაციების და დაზიანებების დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას ორთოპედიული აპარატებისა და პროტეზების გამოყენებით და რომელსაც მიღებული აქვს დიპლომის შემდგომი პროფესიული განათლება (რეზიდენტურა) შესაბამის სპეციალობაში.

4. ორთოპედ-სტომატოლოგის მოვალეობაა ყბა-კბილთა სისტემის პათოლოგიების და ტრავმული დაზიანებების მქონე პაციენტთა გამოკვლევა თანამედროვე მეთოდებით, დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რომ მოხდეს პირის ღრუს ორთოპედიული რეაბილიტაცია. პაციენტს უნდა დაუბრუნდეს კბილთა მწკრივების უწყვეტობა, აღუდგეს დეჰვიითი ფუნქცია და ესთეტიკა და მოხდეს დარჩენილი კბილების შენარჩუნება, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრისა და საღეჭი კუნთების პათოლოგიების განვითარების პრევენცია.

5. პროფესიული ზოგადი ცოდნა, რომელიც მოეთხოვება სპეციალისტს:

- ა) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
- ბ) საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“;
- გ) საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
- დ) ბიოეთიკის თანამედროვე პრინციპები;

6. ორთოპედ-სტომატოლოგის ზოგადი უნარ-ჩვევები:

- ა) ორთოპედ-სტომატოლოგს უნდა შეეძლოს: ანამნეზის შეკრება, კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული დიაგნოსტიკის თანამედროვე საშუალებების მონაცემთა კვალიფიციური ინტერპრეტაცია;
- ბ) კბილთა დაზიანებების, კბილთა მწკრივის უწყვეტობის დარღვევების და თანმხლები პათოლოგიური პროცესების ნებისმიერ ეტაპზე მკურნალობა და პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- გ) პაციენტის პროფილის შესაძლებელი მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრა და ვიზირება შესაბამისი პროფილის ექიმ-სპეციალისტთან დამატებითი დიაგნოსტიკური გამოკვლევისათვის და ორთოპედიული მკურნალობის შემდგომი დაგეგმვისათვის;
- დ) კომუნიკაციის დამყარება პაციენტთან და მათ ახლობლებთან.

7. დაავადებების ჩამონათვალი, რომელთა კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობას და პროფილაქტიკას მოიცავს ორთოპედიული სტომატოლოგია:

K01, K03, K03.0,	კბილების გვირგვინების დეფექტები და მათი ორთოპედიული მკურნალობა
------------------------	--

<p>K03.1, K03.2, K03.7, K03.8, K03.9,</p>	
<p>K00, K00.0, K00.8, K03, K03.0, K03.1, K03.2, K03.7, K05.3, K08.3, K08.8, K08.9</p>	<p>პროტეზირება კბილის გვირგვინის მთლიანად დაკარგვის დროს</p>
<p>K00, K00.0, K05.3, K05.4, K05.5, K05.6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2,</p>	<p>კბილების ნაწილობრივი დაკარგვა, სპეციალური მომზადება და ორთოპედიული რეაბილიტაცია</p>
<p>K03.0, K00, K00.0, K05.3, K05.4, K05.5, K05.6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2,</p>	<p>კბილების პათოლოგიური ცეცთა და მათი ორთოპედიული მკურნალობა</p>
<p>K05.3,</p>	<p>პაროდონტის დაავადებათა ორთოპედიული მკურნალობა</p>

<p>K05.4, K05.5, K05.6, K06.0, K06.9, K08,</p>	
<p>K03.0, K00, K00.0, K05.3, K05.4, K05.5, K05,6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2, K08.1</p>	<p>ნაწილობრივი ედენტულიზმის ორთოპედიული მკურნალობა დენტალური იმპლანტების გამოყენებით</p>
<p>K03.0, K00, K00.0, K05.3, K05.4, K05.5, K05,6, K06.0, K08.8, K08.1, K08.2, K08.1</p>	<p>მეორადი ნაწილობრივი ადნეტიის მკურნალობა მოსახსნელი პროთეზებით</p>
<p>K03.0, K00, K00.0, K05.3, K05.4, K05.5, K05,6, K06.0, K08.8, K08.1, K08.1,</p>	<p>სრული ედენტულიზმი და მისი მკურნალობა მოსახსნელი პროთეზების გამოყენებით. სრული ედენტულიზმის დენტალური იმპლანტების გამოყენებით მკურნალობა (მოსახსნელი ზედპროთეზი ან მოუხსნელი პროთეზირება).</p>

K08.2, K08.1, K08.0, K08	
K08.8, K08.9	პაროდონტის დაავადებები, ყბა-სახის მოტეხილობების და დეფექტების ორთოპედიული რეაბილიტაცია.

8. იმ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს ექიმ-ორთოპედს:

- ა) ფოტომეტრიული კვლევის შედეგები;
- ბ) ორთოპანტომოგრამის, ცეფალომეტრიის და ტომოგრაფიის ანალიზი;
- გ) ანაბეჭდის აღება, სადიაგნოსტიკო მოდელების დამზადება და ანალიზი;
- დ) სადიაგნოსტიკო მოდელების ანთროპომეტრიული და ბიომეტრიული შესწავლა და ანალიზი;
- ე) პირის ღრუს მიკრობიოლოგიური კვლევის ანალიზი;
- ვ) სისხლის საერთო ანალიზი;
- ზ) სისხლის ბიოქიმიური ანალიზი;
- თ) ალერგიული ტესტის ანალიზი;
- ი) მასტიკაციოგრაფია;
- კ) დექვიტი ეფექტურობის განსაზღვრა;
- ლ) ყბა-სახის მიდამოს და პირის ღრუს ორგანოების და ქსოვილების ინსტრუმენტული დათვალირება, მათი ინსპექცია და მიღებული ინფორმაციის ანალიზი.

9. ექიმ-ორთოპედის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები (დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციები):

- ა) ანამნეზის შეკრება;
- ბ) კლინიკური გამოკვლევა;
- გ) ფუნქციონალური სინჯების (დეჭვის, ყლაპვის, მეტყველების, სუნთქვის) ჩატარება;
- დ) დამხმარე სადიაგნოსტიკო გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაცია;
- ე) ანაბეჭდის აღება;
- ვ) დიაგნოზის დასმა;
- ზ) მკურნალობის დაგეგმვა;
- თ) პაროდონტის გამოკვლევა;
- ი) უკბილო ალვეოლური მორჩის გამოკვლევა და შეფასება;
- კ) დიაგნოსტიკური მოდელების მიღება და შეფასება;
- ლ) ყველა სახის (დამიზნებითი, პანორამული, ორთოპატოგრამული) რენტგენის სურათების შეფასება;
- მ) დექვიტი ეფექტურობის განსაზღვრა;
- ნ) ქვედა ყბის დექვიტი მოძრაობების გრაფიკული შესწავლა;

- ო) მიოტონომეტრული გამოკვლევების ჩატარება;
- პ) ელექტრომიოგრაფიული გამოკვლევების ჩატარება;
- ჟ) რეოგრაფიული გამოკვლევების ჩატარება;
- რ) საანაბეჭდო მასალების შერჩევა;
- ს) საანაბეჭდო კოვზების შერჩევა;
- ტ) ინდივიდუალური საანაბეჭდო კოვზის დამზადება და მორგება;
- უ) დენტალურ იმპლანტებზე ანაბეჭდის აღება ტრანსფერების გამოყენებით ღია და დახურული მეთოდებით;
- ფ) ყველა სახის ღრუს ფორმირება ჩანართების დასამზადებლად ჩანართების დამზადება, მათ შორის წკირიანი სხმული ტაკოვანი ჩანართის;
- ქ) კბილების პრეპარირება ყველა სახის ხელოვნური გვირგვინის დასამზადებლად;
- ღ) ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრა;
- ყ) ხელოვნური გვირგვინის ხიდისებური პროტეზის კონსტრუქციის შემოწმება, ხელოვნური გვირგვინის ხიდისებური პროტეზის მორგება და ფიქსაცია;
- შ) წკირიანი კბილის დამზადება;
- ჩ) სპეციალური ორთოპედიული ღონისძიებების ჩატარება პროტეზირებისათვის მოსამზადებლად;
- ც) საოკლუზიო ზედაპირის გასწორება ალვეოლთაშორისო სიმაღლის მომატებით;
- ძ) საოკლუზიო ზედაპირის გასწორება კბილების დამოკლებით;
- წ) ნაწილობრივი ფირფიტისებური პროტეზის დამზადება;
- ჭ) ბიგელისებური პროტეზის დამზადება;
- ხ) მთლიანი ფირფიტისებური პროტეზის დამზადება;
- ჯ) შინა-არტაშნების დამზადება;
- ჰ) იმპლანტებზე დაყრდნობილი მოსახსნელი ზედ-პროთეზების დამზადება;
- ჰ1) იმპლანტებზე ფიქსირებული მოუხსნელი და პირობით-მოსახსნელი პროთეზების დამზადება.

მუხლი 3. პროფესიული მზადების სტრუქტურა და სასწავლო პროგრამის შინაარსი

1. თანამედროვე ორთოპედიული სტომატოლოგია ეს არის მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შედგება ზოგადი და კერძო კურსებისაგან. ზოგადი კურსი წარმოადგენს პროპედევტიკულ, ანუ მოსამზადებელ კურსს. კერძო კურსი მოიცავს ორ ძირითად ნაწილს - კბილთპროტეზირებასა და ყბა-სახის ორთოპედიას.
2. ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკის კურსში გადმოცემულია საღეჭი აპარატის მოკლე ანატომიურ-ფიზიოლოგიური დახასიათება, ავადმყოფის გამოკვლევის ზოგადი და სპეციალური მეთოდები (დიაგნოსტიკა), გამოვლენილი დაავადების ნიშნების შეფასება (სიმპტომატოლოგია ან სემიოტიკა), კლინიკური მასალათმცოდნეობა, ასევე ლაბორატორიული ტექნიკა (პროტეზირებისა და სხვადასხვა ორთოპედიული აპარატების დამზადების მეთოდები).
3. კბილთპროტეზირების ამოცანაა სხვადასხვა პათოლოგიების დროს წარმოქმნილი კბილებისა და კბილთა მწკრივების დეფექტების დიაგნოსტიკა,

პროფილაქტიკა და აღდგენა. ყბა-სახის ორთოპედია შეისწავლის ყბებისა და სახის იმ დეფორმაციების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკას, პროტეზირებას და გასწორებას, რომლებიც ტრავმის, დაავადების ან სხვადასხვა ოპერაციების შედეგად წარმოიქმნა. ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა მიზნად ისახავს გაუმყაროს სტუდენტს ანატომიის, ჰისტოლოგიის, ქიმიისა და სხვა სამედიცინო-ბიოლოგიური დისციპლინების შესწავლით მიღებული ცოდნა. ასევე, სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ სემიოლოგია, პაციენტის გამოკვლევის მეთოდები, სადიაგნოსტიკო მეთოდები და მიღებული შედეგების ანალიზი. ფანტომების დახმარებით უნდა აითვისონ ყველაზე ხშირად გამოსაყენებელი მანუალური ჩვევები (კბილების პრეპარირება, ანაბეჭდის აღება და სხვა). დეტალურად უნდა გაეცნონ ექიმ-სტომატოლოგის სამუშაო ადგილის ტექნიკურ აღჭურვილობას. უნდა შეისწავლონ ერგონომიკის საკითხები და ექიმისა და მისი თანაშემწის მუშაობის საფუძვლები, შიდასამსახურებრივი და პაციენტთან ურთიერთობის ეთიკა და დეონტოლოგია, ასეპტიკა და ანტისეპტიკა, ანტივირუსული პროგრამა (აივინფექცია, ჰეპატიტი B, C და სხვა), დეზინფექციის საკითხები. სტუდენტები გაეცნობიან სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობის ძირითად სახეებს. კერძო კურსის (ფაკულტატურ-პოსპიტალური ციკლი) საშუალებით სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა ნოზოლოგიურ ფორმებსა და მათი ორთოპედიული მკურნალობის მეთოდებს, კბილთპროტეზების დამზადების ლაბორატორიულ პროცესებს და სატექნიკო მასალათმცოდნეობას, რთული ნოზოლოგიური ფორმების დიფერენციალურ დიაგნოსტიკას და კომპლექსური მკურნალობის მეთოდებს, ასევე აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პაციენტთა მიღებაში პედაგოგების მეთვალყურეობით.

მუხლი 4. ორთოპედიული სტომატოლოგიის ზოგადი კურსი (ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა):

1. ყბა-კბილთა სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია:
 - ა) ზედა და ქვედა ყბები და მათი ალვეოლური მორჩები;
 - ბ) კბილები და კბილთა მწკრივები;
 - გ) პაროდონტის ანატომია;
 - დ) პაროდონტის ფიზიოლოგია, ფუნქცია და ბიომექანიკა;
 - ე) ყბა-სახის სისტემის კუნთები.
2. ოკლუზია და არტიკულაცია:
 - ა) ოკლუზიის სახეები;
 - ბ) ოკლუზიის ფიზიოლოგიური საფუძვლები;
 - გ) ოკლუზიის მდგომარეობის გამოკვლევა;
 - დ) ოკლუზიისადმი წაყენებული მოთხოვნები ერთეული კბილების აღდგენის დროს;
 - ე) არტიკულატორები და მათი შერჩევა;
 - ვ) ოკლუზია რამდენიმე კბილის აღდგენის დროს;
 - ზ) ოკლუზიის პერიოდონტალური ასპექტები;
 - თ) თანკბილვა და მისი სახეები;
 - ი) ქვედა ყბის ბიომექანიკა;
 - კ) ტრავმული ოკლუზიის თეორია, ტერმინოლოგია, კლასიფიკაცია;
 - ლ) პარაფუნქცია.

3. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანატომიური და ტოპოგრაფიული თავისებურებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ პროტეზირებისათვის.
4. ავადმყოფის გამოკვლევა ორთოპედიული სტომატოლოგიის კლინიკაში:
 - ა) ავადმყოფის გამოიკვლევა კლინიკური და ლაბორატორიული მეთოდები;
 - ბ) დიაგნოზი;
 - გ) ორთოპედიული მკურნალობის გეგმა და ამოცანები.
5. პირის ღრუს მომზადება პროტეზირებისათვის:
 - ა) პირის ღრუს ზოგადგამაჯანსაღებელი ღონისძიებები პროტეზირებამდე;
 - ბ) ავადმყოფის ფსიქოლოგიური მომზადება პროტეზირებამდე.
6. მასალათმცოდნეობა:
 - ა) ანაბექტები და საანაბექტლო მასალები;
 - ბ) საანაბექტლო მასალებისადმი წაყენებული მოთხოვნები თაბაშირი; თუთიის ჟანგისა და ევგენოლის საფუძველზე დამზადებული საანაბექტლო მასები, ადიგინის მუავაზე დამზადებული საანაბექტლო სილიკოზური საანაბექტლო მასებით ერმოპლასტიკური საანაბექტლო მასები, საანაბექტლო კოვზები და მათი შერჩევა;
 - გ) საბაზისო პლასმასები;
 - დ) თვითმაგრებადი პლასმასები. ცივი გამაგრების პლასმასების პოლიმერიზაცია
 - ე) ორთოპედიულ სტომატოლოგიაში გამოყენებული შენადნობები;
 - ვ) ცეცხლგამძლე მოდელების მისაღებად გამოყენებული მასალები;
 - ზ) სამოდელირო მასალები (ცვილი, სანთელი);
 - თ) ხელოვნური კბილების სახეები, ფლუსები და მათეთრებლები, კბილთპროტეზების ელექტროპოლირება, ბუნებრივი და ხელოვნური აბრაზიული მასალები;
 - ი) მეტალები და მათი შენადნობები, თვისებები, დახასიათება;
 - კ) სტომატოლოგიური ფაიფური. სიტალი;
 - ლ) პოლიმერები (მყარი, ელასტიური, სწრაფმაგრებადი);
 - მ) პლასტმასის ხელოვნური კბილები;
 - ნ) მოსაპირკეთებლად გამოყენებული პოლიმერები;
 - ო) სამოდელირო მასალები (ცვილი საბაზისო, ბიგელისათვის, მოუხსნელი კონსტრუქციისათვის, ჩამოსხმისათვის);
 - პ) მაფორმირებელი მასალები.
7. პაციენტის მომზადება პროტეზირებისათვის:
 - ა) ზოგადგამაჯანსაღებელი;
 - ა.ა) სპეციალური თერაპიული;
 - ა.ბ) სპეციალური ქირურგიული;
 - ა.გ) სპეციალური ორთოპედიული და (ან) ორთოდონტული.

მუხლი 5. ორთოპედიული სტომატოლოგიის კერძო კურსი

1. კბილების გვირგვინების დეფექტების კლინიკური სურათი და პროტეზირება:
 - ა) ჩანართებით კბილების გვირგვინების პროტეზირება გვირგვინის დეფექტების (ღრუების) კლასიფიკაცია, ჩანართებისათვის ღრუს ფორმირების ძირითადი პრინციპები, კბილის გვირგვინის უსაფრთხოების ზონები, I კლასის

ღრუს ფორმირების თავისებურებანი, II კლასის ღრუს ფორმირების თავისებურებანი, III კლასის ღრუს ფორმირების თავისებურებანი, VI კლასის ღრუს ფორმირების თავისებურებანი, V კლასის ღრუს ფორმირების თავისებურებანი;

ბ) ჩანართების ტექნოლოგია;

გ) წკირიანი სხმული (ტაკოვანი) ჩანართები;

დ) ჩანართების მორგება და ფიქსაცია, ჩანართის დამზადების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, ლითონის ჩანართები, პლასტმასის ჩანართები, ფაიფურის ჩანართები, ფაიფურის ჩანართების დამზადების კომპიუტერული ტექნოლოგია;

2. კბილების გვირგვინების დეფექტების პროტეზირება ხელოვნური გვირგვინებით:

ა) ზოგადი ჩვენებები ხელოვნური გვირგვინებით პროტეზირებისათვის;

ბ) ხელოვნური გვირგვინებისადმი წაყენებული მოთხოვნები;

გ) ხელოვნური გვირგვინებისათვის კბილის მომზადების უსაფრთხოების ღონისძიებები;

დ) ორგანიზმის ზოგადი და ადგილობრივი რეაქციები კბილის პრეპარირების დროს;

ე) გაუტკივარება კბილის პრეპარირების დროს;

ვ) აივ- და სხვა ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკა.

3. ხელოვნური გვირგვინების სახეები და მათი დახასიათება:

ა) გამოჭედვის მეთოდი მეტალის ხელოვნური გვირგვინების დამზადების კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპები: კბილის პრეპარირება მეტალის ხელოვნური გვირგვინის გამოჭედვის მეთოდით დამზადებისას, შეცდომები კბილის პრეპარირებისას მეტალის ხელოვნური გვირგვინის გამოჭედვის მეთოდით დამზადებისას, ანაბეჭდის აღება, ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრა, გამოჭედილი მეტალის გვირგვინის ტექნოლოგია, გამოჭედილი მეტალის გვირგვინის დამზადების ხარისხის შემოწმება, გამოჭედილი მეტალის გვირგვინის ფიქსაცია საყრდენ კბილზე;

ბ) პლასტმასის გვირგვინის დამზადების კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპები: კბილის მომზადება პლასტმასის გვირგვინისათვის, პლასტმასის გვირგვინის დამზადების ტექნოლოგია, პლასტმასის გვირგვინის მორგება და ფიქსაცია;

გ) ავადმყოფთა ორთოპედიული მკურნალობა ფაიფურის გვირგვინების გამოყენებით: ფაიფურის გვირგვინების გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები, პაციენტის გამოკვლევა, ყბა-კბილთა სისტემის მომზადება ფაიფურის გვირგვინებით პროტეზირების წინ, კბილის პრეპარირება ფაიფურის გვირგვინისათვის, ანაბეჭდის აღება, ფაიფურის გვირგვინის დამზადების ტექნოლოგია (ლაბორატორიული ეტაპები), ფაიფურის გვირგვინის მორგება და ფიქსაცია, შეცდომები და გართულებები ფაიფურის გვირგვინებით კბილთპროტეზირების დროს;

დ) კბილების არაპირდაპირი ვინირება;

ე) თანამედროვე კერამიკული სისტემები;

ვ) კომპიუტერული ტექნოლოგიები ესთეტიკურ სტომატოლოგიაში

ზ) სისტემა “Celay” (კერამიკული ჩანართი);

თ) სისტემა “CAD/CAM ” (კომპიუტერიზებული დიზაინი, კომპიუტერიზებული წარმოება);

ი) სისტემა “CS” (Digitizing Computer System);

კ) ავადმყოფთა ორთოპედიული მკურნალობა მეტალკერამიკის გვირგვინების გამოყენებით: ჩვენებები და უკუჩვენებები მეტალკერამიკის გვირგვინების გამოყენებისას, პაციენტის გამოკვლევა, ყბა-კბილთა სისტემის მომზადება მეტალკერამიკის გვირგვინებით კბილთპროტეზირებამდე, დროებითი (პროვიზორული) გვირგვინების დამზადების მეთოდები, კბილის პრეპარირება, ანაბეჭდის ადების მეთოდები, მეტალკერამიკის გვირგვინების დამზადების ტექნოლოგია, მეტალკერამიკის გვირგვინების მორგება, მეტალკერამიკის გვირგვინების მოჭიქურება, მეტალკლასმასის გვირგვინების დამზადების კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპები, გამოჭდილი კომბინირებული გვირგვინების დამზადების კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპები, სხმული კომბინირებული გვირგვინების დამზადების კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპები, ტელესკოპური გვირგვინების დამზადების კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპები, ნახევარგვირგვინების დამზადების კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპები, მეტალის სხმული გვირგვინებით კბილთპროტეზირება;

4. პროტეზირება კბილის გვირგვინის მთლიანად დაკარგვის დროს:

ა) ფესვის არხისა და ტაკვის მომზადება;

ბ) პროტეზირება რინომონდის წკირიანი კბილით;

გ) ჩანართიანი წკირიანი კბილით პროტეზირება ილინა-მარკოსიანის მიხედვით;

დ) წკირიანი კომბინირებული გვირგვინით პროტეზირება ახმედოვის მიხედვით;

ე) სტანდარტული წკირიანი კბილები;

ვ) ხელოვნური ტაკვიანი წკირიანი კბილთპროტეზირება.

5. კბილების ნაწილობრივი დაკარგვა და მომზადება პროტეზირებისათვის:

ა) კბილთა მწკირივის მთლიანობის დარღვევა, კლასიფიკაცია;

ბ) მოფუნქციონირე და არამოფუნქციონირე კბილთა ჯგუფების ჩამოყალიბება;

გ) პაროდონტის ფუნქციონალური გადატვირთვა;

დ) კბილთა მწკირივის დეფორმაციები;

ე) დეჭვის და მეტყველების ფუნქციის დარღვევა, ესთეტიკური ნორმების დარღვევა, კბილების დაკარგვით საფეთქელ-ქვედაყბის სახსარში გამოწვეული ცვლილებები;

ვ) სპეციალური თერაპიული ღონისძიებები პირის ღრუს მომზადებისას პროტეზირებისათვის;

ზ) სპეციალური ქირურგიული ღონისძიებები პირის ღრუს მომზადებისას პროტეზირებისათვის;

6. ხიდისებური პროტეზები: ხიდისებური პროტეზის კონსტრუქცია, ხიდისებური პროტეზის ბიომექანიკა, ხიდისებური პროტეზის გაკეთების ჩვენებები და უკუჩვენებები, საყრდენი კბილების შერჩევა ხიდისებური პროტეზებისათვის, ხიდისებური პროტეზების გამოყენება ჩართული დეფექტების დროს, პროტეზირება მთლიანად სხმული ხიდისებური პროტეზებით, ადგეზიური

ხიდისებური პროტეზები, ხიდისებური პროტეზები ანკერული შესახსრებით, ხიდისებური პროტეზების დამზადების კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპები, ხიდისებური პროტეზების კლინიკური შეფასება.

7. ორთოპედიული მკურნალობა მეტალკერამიკის და მეტალოპლასტმასის პროტეზებით: მეტალკერამიკის და მეტალოპლასტმასის პროტეზების გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები, პაციენტის გამოკვლევა და ყბა-კბილთა სისტემის მომზადება მეტალკერამიკით კბილთპროტეზირებისათვის, მეტალკერამიკის პროტეზების დამზადების კლინიკური ეტაპები, მეტალკერამიკის პროტეზების დამზადების ლაბორატორიული ეტაპები, ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების და კბილთა მწკრივის დეფორმაციების ორთოპედიული მკურნალობა მეტალკერამიკის პროტეზების გამოყენებით, პაროდონტიტის ორთოპედიული მკურნალობა მეტალკერამიკის პროტეზების გამოყენებით, კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიური ცვეთის ორთოპედიული მკურნალობა მეტალკერამიკის პროტეზების გამოყენებით, შეცდომებისა და გართულებების პროფილაქტიკა მეტალკერამიკის კბილთპროტეზირებისათვის.

8. ადენტის ორთოპედიული მკურნალობა იმპლანტანტების გამოყენებით:

- ა) იმპლანტაციის თეორიული საფუძვლები;
- ბ) პაციენტის გამოკვლევის თავისებურებები;
- გ) ჩვენებები და უკუჩვენებები;
- დ) იმპლანტოლოგიაში გამოყენებული მასალები;
- ე) იმპლანტანტების კონსტრუქციები;
- ვ) იმპლანტაციის მეთოდები;
- ზ) კბილთპროტეზირების კონსტრუირების თავისებურებები იმპლანტანტების გამოყენებისას;
- თ) ორთოპედიული მკურნალობის მეთოდები იმპლანტანტების გამოყენებისას;
- ი) ორთოპედიული მკურნალობის ორგანიზაციული ასპექტები იმპლანტანტების გამოყენების დროს;

9. კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიური ცვეთა და მისი ორთოპედიული მკურნალობა:

- ა) ეტიოლოგია და კლინიკა;
 - ბ) პათოლოგიური ცვეთის ფორმები;
 - გ) ორთოპედიული მკურნალობა.
10. კბილების სოლისებური დეფექტი და მისი ორთოპედიული მკურნალობა.

11. პაროდონტის დაავადებათა ორთოპედიული მკურნალობა:

- ა) პაროდონტის ფუნქციური ტრავმული გადატვირთვა;
 - ბ) ორთოპედიული მკურნალობის ამოცანები;
 - გ) დიფერენციალური დიაგნოსტიკა;
 - დ) კბილების შერჩევითი მოქლიბვა;
 - ე) შინირების ბიომექანიკური საფუძვლები;
 - ვ) შინირების სახეები, ჩვენებები;
 - ზ) პროტეზირების თავისებურებები პაროდონტოპათიების დროს.
12. მეორადი ნაწილობრივი ადენტის მკურნალობა მოსახსნელი პროთეზებით:
- ა) მოსახსნელი ხიდისებური პროტეზები;
 - ბ) ნაწილობრივი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროტეზები;

- გ) დამყრდნობ-რკალოვანი (ბიგელისებური) პროტეზები. პარალელომეტრია;
- დ) ატანმენები, მათი სახეები. გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები: ნაწილობრივი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროტეზი მეტალის ბაზისით;
- ე) ჩვენებები. დამზადების ტექნოლოგია;
- ვ) ნაწილობრივი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროტეზი ელასტიური ბაზისით;

ზ) „სამედიცინო სიხშირის“ თერმოპლასტიკებისაგან („ვალპლასტი“, „პოლიპროპილენი“, „პოლიურეთანი“).

13. პროტეზირება კბილების მთლიანი დაკარგვის დროს:

- ა) სიმპტომატიკა კბილების მთლიანი დაკარგვის დროს;
- ბ) უკბილო ყბების კლასიფიკაცია;
- გ) უკბილო ყბების ღორწოვანი გარსის მდგომარეობის შეფასება;
- დ) მთლიანი პროტეზების ფიქსაცია;
- ე) ფუნქციონალური ანაბეჭდები და მათი კლასიფიკაცია;
- ვ) ინდივიდუალური საანაბეჭდო კოვზები და მათი მორგება;
- ზ) უკბილო ყბების პროტეზირების კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპები;
- თ) პროტეზებისადმი ადაპტაცია;
- ი) ელასტიური პლასმასის გამოყენება მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროტეზების დამზადების დროს;
- კ) პროტეზირება მომატებული დებინების რეფლექსის დროს;
- ლ) უახლოესი და შორეული შედეგები უკბილო ყბების პროტეზირებისათვის;
- მ) საპროტეზო ველის ქსოვილების რეაქცია;
- ნ) მთლიანი ადენტის ორთოპედიულ მკურნალობაში იმპლანტაციების გამოყენებით.

14. ყბა-სახის ორთოპედია:

- ა) ყბების მოტეხილობების ორთოპედიული მკურნალობა;
- ბ) ყბების ტრავმის შედეგად განვითარებული ცვლილებების ორთოპედიული მკურნალობა;
- გ) ქვედა ყბის კონტრაქტურის პროფილაქტიკა და ორთოპედიული მკურნალობა;
- დ) პროტეზირება ყბის რეზექციის შემდეგ;
- ე) რბილი და მაგარი სახის შექმნილი დეფექტების ორთოპედიული მკურნალობა;
- ვ) სახის დეფექტების პროტეზირება (ეკზოპროტეზები).

15. მოსახლოების ორთოპედიული სტომატოლოგიური დახმარების ორგანიზაცია.

მუხლი 6. საგანმანათლებლო რესურსები

რეზიდენტის სწავლებაში მონაწილეობას იღებენ პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს: სტომატოლოგიური კლინიკა,

რომელსაც ასევე აქვს, სასწავლო ოთახი, სამუშაო სავარძელი, კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტ-ქსელი.

მუხლი 7. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება

„ორთოპედიულ სტომატოლოგიაში“ სარეზიდენტო პროგრამის მართვა და ადმინისტრირება გულისხმობს ადგილზე შემდეგი მექანიზმების განხორციელების უზრუნველყოფას:

- ა) პედაგოგის/მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული მასალის სწავლებას, რეზიდენტის მიერ მოწოდებული მასალის შესწავლას;
- ბ) კურიკულუმის სწავლება-შესწავლისთვის საჭირო ყველა მასალით და აღჭურვილობით უზრუნველყოფას;
- გ) პროგრამის განმახორციელებლისადმი მინიმალური ინსტიტუციური მოთხოვნების განსაზღვრას;
- დ) საჭიროების შემთხვევაში დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების სხვა პროგრამებში რეზიდენტის მიმართვას და პროგრამებს შორის როტაციას.

მუხლი 8. პროგრამის ხანგრძლივობა

- 1. „ორთოპედიულ სტომატოლოგიაში“ სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობაა 15 თვე და მოიცავს 3 კლინიკურ მოდულს.
- 2. „ორთოპედიულ სტომატოლოგიაში“ სარეზიდენტო პროგრამის განახლება მოხდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ განვლილი საერზიდენტო კურსით მზადების შედეგების, აკადემიური პერსონალის გამოცდილების და რეზიდენტების აზრის გათვალისწინებით.

Tavi II. პროგრამის სპეციფიური ნაწილი

მუხლი 9.

სარეზიდენტო პროგრამა „ორთოპედიულ სტომატოლოგიაში“ შედგება 3 მოდულისგან, რომელთა საერთო ხანგრძლივობაა 15 თვე:

მოდული №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1	ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა	1 თვე
2	მოუხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციები	7 თვე
3	მოსახსნელი ორთოპედიული კონსტრუქციები	7 თვე

მუხლი 10. მოდული 1. მოდულის დასახელება - „ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა“, ხანგრძლივობა – 1 თვე

- 1. მოდულის მიზანი – მოდულის მიზანია გაუმყაროს რეზიდენტს (სპეციალობის მაძიებელს) ანატომიის, ჰისტოლოგიის, ქიმიისა და სხვა

სამედიცინო-ბიოლოგიური დისციპლინების შესწავლით მიღებული ცოდნა. ასევე, რეზიდენტმა (სპეციალობის მაძიებელმა) უნდა შეისწავლოს სემიოლოგია, პაციენტის გამოკვლევის თანამედროვე მეთოდები ორთოპედიული სტომატოლოგიის კლინიკაში, სადიაგნოსტიკო მეთოდები და მიღებული შედეგების ანალიზი. დეტალურად უნდა გაეცნოს ორთოპედ სტომატოლოგიის სამუშაო ადგილის ტექნიკურ აღჭურვილობას, უნდა შეისწავლოს ერგონომიკის საკითხები და ექიმისა და მისი თანაშემწის მუშაობის საფუძვლები, შიდასამსახურეობრივი და პაციენტთან ურთიერთობის ეთიკა და დეონტოლოგია, ასეპტიკა და ანტისეპტიკა, ანტივირუსული და ანტი-აივ პროგრამა, დეზინფექციის და სტერილიზაციის საკითხები. რეზიდენტები/საექიმო სპეციალობის მაძიებლები გაეცნობიან ორთოპედიული სტომატოლოგიის მასალათმცოდნეობის ძირითად უახლეს საკითხებს და ლაბორატორიულ ტექნიკას. მოდულის წარმატებით დამთავრების შემდეგ რეზიდენტს/საექიმო სპეციალობის მაძიებელს ათვისებული უნდა ჰქონდეს მოდულის მიზნით გათვალისწინებული ყველა საკითხი და იგი მომზადებული უნდა იყოს სპეციალობა „ორთოპედიული სტომატოლოგიის“ მომდევნო მოდულების გასავლელად.

2. ლიტერატურის ნუსხა:

ა) ორთოპედიული სტომატოლოგია, ტრეზუბოვი, შერბაკოვი, თბილისი, 2006;

ბ) Occlusion in Restorative Dentistry. *Gross MD, Mathews JD.*

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

№	თეორიული კურსი	პროფესიული უნარჩვენვები	შესასრულებელი მანიპულაციების რაოდენობა	შეფასების მეთოდები
1.	ორთოპედიული სტომატოლოგიის ეთიკა და დეონტოლოგია			ზეპირი გამოკითვა
2.	ორთოპედიული კლინიკის მუშაობის ორგანიზაცია, სამუშაო ადგილი, ორთოპედ-სტომატოლოგიური კლინიკის აღჭურვილობა და ინსტრუმენტები პაციენტთა კლინიკური მიღებისათვის.			ზეპირი გამოკითვა
3.	ასეპტიკა, ანტისეპტიკა და დეზინფექცია			ზეპირი გამოკითვა

4.	<p>საღეჭ-სამეტყველო აპარატის ფუნქციონალური ანატომია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ორგანო, ყბა-კბილთა სისტემა, აპარატი - ყბები, ალვეოლური მორჩი, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსარი - კუნთები, კუნთების ძალა, ღეჭვითი წნევა - კბილები და კბილთა მწკრივები - პაროდონტი, მისი აგებულება და ფუნქციები - ყბა-კბილთა სისტემის აგებულების (შენების) თავისებურებები - კბილთა მწკრივების საოკლუზიო ზედაპირი - ოკლუზია, არტიკულაცია თანკბილვა და თანკბილვის სახეები - პირის ღრუს ლორწავანი გარსის აგებულება - ქვედა-ყბის ბიომექანიკა - ღეჭვა, ყლაპვა, მეტყველება, სუნთქვა - დიაგნოსტიკა - სიმპტომი, სინდორმი, პათოლოგიური მდგომარეობა, დაავადება, ნოზოლოგიური ფორმა 	<p>თანკბილვის სახეობის განსაზღვრა ყბა-კბილთა ანაბექტის ალება და საანაბექტო კოვზების შერჩევითი გამოყენება დიაგნოსტიკური მოდელების შეფასება</p>	20	<p>ზეპირი გამოკითვა და წერითი გამოკითვა შეკითხვებით მოკლე მრავლობითი პასუხებით (ტესტები)</p>
5.	<p>პაციენტის გამოკვლევის მეთოდები ორთოპედიული სტომატოლოგიის კლინიკაში</p> <ul style="list-style-type: none"> - გამოკვლევის კლინიკური და პარაკლინიკური მეთოდები 	<p>დიაგნოსტიკური მოდელების შეფასება, ორთოპანტომგორამების შეფასება</p>	20	<p>კლინიკური შემთხვევები ზეპირი გამოკითვა</p>
6.	<p>პაციენტის ისტორია, დიაგნოზი</p>			<p>ზეპირი</p>

	და პროგნოზი			და პრაქტიკული გამოვითხვა
7.	<p>ორთოპედიულ სტომატოლოგიაში გამოყენებული მასალები და მათი კლასიფიკაცია</p> <ul style="list-style-type: none"> - საანაბეჭდო მასალები, ანაბეჭდი - მეტალები და მათი შენადნობები - სტომატოლოგიური ფაიფური, კერამიკა, სიტალი, ცირკონიუმი - პოლიმერები - პლასტმასის ხელოვნური კბილები - მოსაპირკეთებლად გამოყენებული პოლიმერები - კომპომერები - ცემენტები - სამოდელირო მასალები - მაფორმირებელი მასალები - აბრაზიული მასალები - საიზოლაციო მასალები - კლინიკური მიღების ხარჯვითი მასალები და საშუალებები - სტომატოლოგიური მასალების მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე 			ზეპირი გამოვითხვა და კლინიკური შეფასება
8.	<p>პაციენტის მომზადება პროთეზირებისათვის</p> <ul style="list-style-type: none"> - ზოგადგამაჯანსაღებელი - სპეციალური თერაპიული - სპეციალური ქირურგიული - სპეციალური 	<p>ოკლუზიური ზედაპირის გასწორება</p> <p>ალგეოლათაშორისი სიმადლის მომატების ან დაკლების გზით ინდივიდუალური კოვზების დამზადება</p>	10	<p>კლინიკური შემთხვევები</p> <p>პრეზენტა</p>

ორთოპედიული			ცია
-------------	--	--	-----

მუხლი 11. მოდული 2. მოდულის დასახელება – „მოუხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციები“, ხანგრძლივობა – 7 თვე

1. მოდულის მიზანი – რეზიდენტმა/საექიმო სპეციალობის მაძიებელმა შეისწავლოს სხვადასხვა პათოლოგიების ან ტრავმის შედეგად წარმოშობილი კბილის გვირგვინის ან/და კბილთა მწკრივის დეფექტების დიაგნოსტიკა, კლინიკა, პროფილაქტიკა და ორთოპედიული მკურნალობა, ხელოვნური გვირგვინებით, ხიდისებური პროთეზების გამოყენებით, რათა აღდგენილ იქნას საღეჭი აპარატი როგორც ანატომიური და ფუნქციური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით. რეზიდენტმა (საექიმო სპეციალობის მაძიებელმა) უნდა შეისწავლოს ნაწილობრივი ედენტულიზმის შემთხვევაში ძვლოვან ქსოვილში ჩასმულ დენტალურ იმპლანტებზე პროთეზირება. რეზიდენტმა (საექიმო სპეციალობის მაძიებელმა) უნდა მიიღოს დენტალური ინფორმაცია დენტალური იმპლანტების გამოყენების ჩვენებების და უკუჩვენებების შესახებ; უნდა გაეცნოს დენტალურ იმპლანტებზე დაყრდნობილი კონსტრუქციების დაგეგმარების და ბიომექანიკის კანონების ძირითად პრინციპებს. რეზიდენტმა უნდა შეძლოს დენტალურ იმპლანტებზე აბატმენტების დამაგრება, ანაბეჭდის აღება ტრანსფერების გამოყენებით როგორც ღია, ასევე, დახურული მეთოდით. ასევე, რეზიდენტმა უნდა ისწავლოს დენტალურ იმპლანტებზე მოუხსნელი და პირობით-მოსახსნელი პროთეზის დამზადება და პირის ღრუში ფიქსაცია. შესაბამისად, რეზიდენტმა უნდა შეძლოს დენტალურ იმპლანტებზე დაყრდნობილი კონსტრუქციების გამოყენებით საღეჭი აპარატის როგორც ანატომიური და ფუნქციური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით აღდგენა.

2. მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ რეზიდენტმა (საექიმო სპეციალობის მაძიებელმა) უნდა შეძლოს კბილთა გვირგვინების დეფექტების ან/და ნაწილობრივი ედენტულიზმის მკურნალობა მოუხსნელი კონსტრუქციებით. მოდულის გავლის პერიოდში მან უნდა აითვისოს გვირგვინების დეფექტების და ნაწილობრივი ადენტიის დიაგნოსტიკა, კლინიკა, პროფილაქტიკა და ორთოპედიული მკურნალობა მოუხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციებით. რეზიდენტმა უნდა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოში არსებული ანომალიების, დეფორმაციების და დეფექტების შესახებ ანამნეზის შეკრების საფუძველზე:

- ა) აწარმოოს პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს ორგანოების გამოკვლევა;
- ბ) გამოავლინოს პათოლოგიური მდგომარეობის განვითარების მიზეზები;
- გ) შეარჩიოს საჭირო აპარატისა და პროთეზის ოპტიმალური სახეობა კონკრეტულ შემთხვევაში;
- დ) დიაგნოზის ფორმულირება;
- ე) დასახოს ორთოპედიული მკურნალობის გეგმა და ჩაატაროს მკურნალობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) განსაზღვროს კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპების შესრულების პროცესში ორთოპედული კონსტრუქციის დასამზადებლად საჭირო მასალების და მედიკამენტების სახეობანი.

3. ლიტერატურის ნუსხა:

ა) ორთოპედული სტომატოლოგია, ტრეზუბოვი, შერბაკოვი, თბილისი, 2006;

ბ) Fundamentals of Fixed Prosthodontics. *Shillingburg HT Jr. Third Edition*;

გ) Одонтопрепарирование при восстановлении дефектов твердых тканей зубов вкладками. Арутюнов СД. **2007**;

დ) Fixed Prosthodontics: Principles and Clinics. Anselm Wiskott;

ე) Occlusion in Restorative Dentistry. *Gross MD, Mathews JD.*;

ვ) Dental Implants. *NHS Cambridgeshire and Peterborough Public Health Network.*;

ზ) Дентальная имплантология. В. Л. Параскевич. **II издание 2006**;

თ) Практическая Дентальная имплантология. *Musheev, Olesova, Fromovich.*

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციები რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

№	თეორიული კურსი	პროფესიული უნარჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციების რაოდენობა	შეფასების მეთოდები
1.	კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიები, ეტიოლოგია, პათოგენეზი, მკურნალობის მეთოდები. - სოლისბეური დეფექტები მკურნალობა ჩანართებით. ლითონის, პლასტმასის და ფაიფურის ჩანართები.	ჩანართებისათვის ღრუების ფორმირება, ჩანართების დამზადების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები,	15	კლინიკური შემთხვევა და პრეზენტაცია
2.	მკურნალობა ხელოვნური გვირგვინებით - ჩვენებები - შესაძლო გართულებები პრეპარირების დროს - ლითონების გამოშტამპული ხელოვნური გვირგვინები - ლითონის ჩამოსხმული ხელოვნური გვირგვინები - პლასტმასის ხელოვნური გვირგვინები - ფაიფურის ხელოვნური	კბილის პრეპარირება, ღრძილის რეტრაქცია, ორშრიანი ანაბეჭდის აღება, ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრა, ჩანართის ფიქსაცია, გვირგვინის ფიქსაცია, გვირგვინის კარკასის მორგება, გვირგვინის ფიქსაცია, ოკლუზიის გასქორება CAD/CAM სისტემით	30	კლინიკური შემთხვევა და ზეპირი გამოკითხვები

	<p>გვირგვინები</p> <ul style="list-style-type: none"> - მეტალოკერამიკის ხელოვნური გვირგვინები - ლიტონის გვირგვინები პლასტმასის პირნაკეთობით უმეტეს კერამიკული ხელოვნური გვირგვინები - კბილების არაპირდაპირი ვინირება - კომპიუტერული ტექნოლოგიები ესთეტიკურ ორთოპედიულ სტომატოლოგიაში (CAD/CAM, CEREC, DCS) 	<p>ორთოპედიული ჩანართების ინლექციური, ონლექციური, ოვერლეი და ფინლექციური ჩანართების დამზადება, მორეგება, ფიქსაცია</p>		
3.	<p>კბილის გვირგვინოვანი ნაწილის აღდგენა მისი სრულად დაკარგვის დროს</p> <ul style="list-style-type: none"> - წვირის ტაკვიანი ჩანართები - გვირგვინოვანი ნაწილის აღდგენა ანკერების დახმარებით - სხვადასხვა კონსტრუქციის წვირის კბილები 	<p>კბილის თერაპიული მომზადება, პრეპარირება, ანაბეჭდის აღება წვირის ჩანართისათვის, წვირის ტაკვიანი ჩანართის ფიქსაცია, რდმლის რეტრაქცია, ანაბეჭდის აღება, ხელოვნური გვირგვინის მორეგება და ფიქსაცია.</p>	15	<p>კლინიკური შემთხვევები და რეფერატი (პრეზენტაციის სახით)</p>
4.	<p>კბილების მაგარი ქოსვილების პათოლოგიური ცვეთა, კლინიკური სურათი, კლასიფიკაცია, ფორმები, ორთოპედიული მკურნალობა</p>	<p>ცვეთის ტიპის განსაზღვრა, კბილების ანატომიური ფორმის, ფუნქციის და ესთეტიკის აღდგენა, ალვეოლათაშორის სიმაღლის შენარჩუნება ან აღდგენა. მკურნალობის გეგმა უნდა დასახოს ცვეთის ტიპის განთავლისწინებით.</p>	10	<p>კლინიკური შემთხვევა და ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია</p>
5.	<p>მეორადი ნაწილობრივი ადენტია, კბილთა მწკრივის დეფექტები, ცვილელები ყბა-კბილთა სისტემაში,</p>	<p>კბილთა მწკრივის უწყვეტობის აღდგენა, დეფორმაციების, პაროდონტის</p>	30	<p>კლინიკური შემთხვევები და</p>

	<p>დიაგნოსტიკა და მკურნალობის მეთოდები</p> <ul style="list-style-type: none"> - კბილის ფუნქციონალური გადატვირთვა, - პათოლოგიური ოკლუზია - ტრავმული ოკლუზია - არტიკულაციური წონასწორობა - საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ფუნქციონალური გადატვირთვა - კბილთა მწკრივის დეფექტების პაციენტთა ფიქსირებული კონსტრუქციებით მკურნალობა - მოუხსნელი ხიდისებური პროთეზები, ჩვენებები, ბიომექანიკა - ლითონის მირჩილული პროთეზები - მეტალოკერამიკული ხიდისებური პროთეზები - პლასტმასის ხიდისებური პროთეზები - მეტალოპლასტმასის ხიდისებური პროთეზები - ადჰეზირული ხიდისებური პროტეზები (მერილენდის ხიდები) 	<p>ფუნქციური გადატვირთვის და საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დარღვევების აღმოჩენა.</p> <p>საყრდენი კბილების სპეციალური მომზადება, პრეპარირება, რღზილის რეტრაქცია, ორშრიანი ანაბეჭდის აღება, კარკასის მორგება, მოუხსნელი კონსტრუქციის ფიქსაცია.</p>		<p>ზეპირი გამოკითხვები. პრეზენტაცია</p>
6.	<p>პაროდონტის დაავადებები. ორთოპედიული მკურნალობის მეთოდები და პროფილაქტიკა</p>	<p>კბილის შერჩევითი მოქლიბვა, სუპრაკონსტრუქციები მარკირება, ოკულდოგრამის ჩამოყალიბება, მოსახსნელი და მოუხსნელი შნა-არტაშნების დამზადება,</p>	3	<p>კლინიკური შემთხვევა და ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია</p>

		ფიქსაცია, შეფასება და რაციონალური პროთეზირების შერჩევა.		
7.	ყბათა მოტეხილობის ორთოპედიული მკურნალობა			ზეპირი გამოკითხვა
8.	ყბების ტრავმათა შემდგომი ორთოპედიული მკურნალობა ცრუ სახსარი არასწორად შეხორცებული მოტეხილობანი პროთეზირება მიკროსტომიის დროს	ანაბეჭდის ალება ზეწოლის გარეშე ფრაგმენტების მოძრაობის გათვალისწინებით მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის დამზადება პროთეზის ორ ნაწილად გაყოფა ცრუ სახსრის მდებარეობის არეში ორი ნაწილის ჭადისებრი სამაგრიტ დამაგრება		ზეპირი გამოკითხვა და პრეზენტაცია. კლინიკური შემთხვევა შეძლების დაგვარად
9.	დენტალური იმპლანტაციის განვითარების ისტორია			ზეპირი გამოკითხვა
10.	ძვლის არქიტექტონიკა, დენტალური იმპლანტაციის ჩვენებები და უკუჩვენებები, დენტალური იმპლანტაციის დაგეგმარება	ორთოპანტომოგრამის და 3D კომპიუტერული ტომოგრამის გამოყენებით ძვლის არქიტექტონიკის განსაზღვრა, ძლის მოცულობის დადგენა, პაციენტის დიაგნოსტირება და იმპლანტაციის დაგეგმარება	10	სიტუაციური ამოცანები, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია. კლინიკური შემთხვევები
11.	დენტალურ იმპლანტებზე დაყრდნობილი კონსტრუქციების ბიომექანიკა			ზეპირი გამოკითხვა სიტუაციური

				ამოცანები თ
12.	იმპლანტების ორთოპედიული კომპონენტების დამაგრება	იმპლანტებზე აბატმენტების დამაგრება	10	ფანტომებზე მუშაობა და ტესტები
13.	იმპლანტებზე ფიქსირებული მოუხსნელი პროთეზის დამზადება	ანაბეჭდის ალება ტრანსფერებით ღია და დახურული მეთოდებით მეტალის კარკასისთვის ცვილის მოდელის დამზადება მეტალის კარკასის დამზადება მეტალის კარკასის მორგება (მოდელზე და პირის ღრუში) ვინირის ფერის განსაზღვრა ვინირის დაშრევა კარკასზე პროტეზის ფიქსაცია ცენტრალური ოკლუზიის კონტროლი და კორექცია პირის ღრუს ჰიგიენა და საკონტროლო ვიზიტები	3	კლინიკური შემთხვევა , ზეპირი გამოკითხვა
14.	იმპლანტებზე ფიქსირებული პირობითად-მოსახსნელი პროთეზების დამზადება	ანაბეჭდის ალება ტრანსფერებით ღია და დახურული მეთოდებით მეტალის კარკასისთვის ცვილის მოდელის დამზადება მეტალის კარკასის დამზადება მეტალის კარკასის მორგება (მოდელზე და პირის ღრუში) ვინირის ფერის განსაზღვრა ვინირის დაშრევა კარკასზე	1	კლინიკური შემთხვევა , ზეპირი გამოკითხვა

		პროტეზის ფიქსაცია ცენტრალური ოკლუსიის კონტროლი და კორექცია ხრახნების დახურვა კომპოზიტური საბუენი მასალით პირის ღრუს ჰიგიენა და საკონტროლო ვიზიტები		
15.	დენტალურ იმპლანტებზე დაყრდნობილი პროთეზების დამზადება არასასურველი ანატომო-ტოპოგრაფიული მდგომარეობის დროს	„ფეხებზე“ მდგომი პროთეზის დამზადება		ზეპირი გამოკითხ ვა და პრევენტა ცია
16.	დენტალურ იმპლანტებზე დაყრდნობილი პროთეზების გართულებები და მათი მკურნალობა, პერიიმიპლანტიტები, ჰიგიენა			ზეპირი გამოკითხ ვა

მუხლი 12. მოდული 3. მოდულის დასახელება – „მოსახსნელი ორთოპედიული კონსტრუქციები“, ხანგრძლივობა – 7 თვე

1. მოდულის მიზანი – რეზიდენტმა შეისწავლოს სხვადასხვა პათოლოგიების ან ტრავმის შედეგად წარმოშობილი კბილთა მწკრივის დეფექტების ან მთლიანი ადენტიის დიაგნოსტიკა, კლინიკა, პროფილაქტიკა და ორთოპედიული მკურნალობა ნაწილობრივი და (ან) მთლიანი ფირფიტოვანი ან ბიგელისებური პროთეზების გამოყენებით, რათა აღდგენილ იქნას სალექი აპარატი როგორც ანატომიური და ფუნქციური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით. რეზიდენტმა (საექიმო სპეციალობის მაძებელმა) უნდა შეისწავლოს ნაწილობრივი და სრული ედენტულიზმის შემთხვევაში ძვლოვან ქსოვილში ჩასმულ დენტალურ იმპლანტებზე პროთეზირება. რეზიდენტმა უნდა მიიღოს დეტალური ინფორმაცია დენტალური იმპლანტების გამოყენების ჩვენებების და უკუჩვენებების შესახებ. უნდა გაეცნოს დენტალურ იმპლანტებზე დაყრდნობილი კონსტრუქციების დაგეგმარების და ბიომექანიკის კანონების ძირითად პრინციპებს.
2. მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ რეზიდენტმა (საექიმო სპეციალობის მაძიებელმა) უნდა შეძლოს ნაწილობრივი და მთლიანი ადენტიის მკურნალობა ფირფიტოვანი და ბიგელისებური მოსახსნელი პროთეზებით, ასევე, დენტალურ იმპლანტებზე აბატმენტების დამაგრება, ანაბეჭდის აღება

ტრანსფერების გამოყენებით როგორც ღია, ასევე, დახურული მეთოდით. ასევე, რეზიდენტმა უნდა ისწავლოს დენტალურ იმპლანტებზე მოსახსნელი და კომბინირებული პროთეზის დამზადება და პირის ღრუში ფიქსაცია. შესაბამისად, რეზიდენტმა/საექიმო სპეციალობის მაძიებელმა უნდა შეძლოს დენტალურ იმპლანტებზე დაყრდნობილი კონსტრუქციების გამოყენებით სადეჭი აპარატის როგორც ანატომიური და ფუნქციური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით აღდგენა.

3. მოდულის გავლის პერიოდში მან უნდა აითვისოს ნაწილობრივი და მთლიანი ადენტის დაიგნოსტიკა, კლინიკა, პროფილაქტიკა და ორთოპედიული მკურნალობა მოსახსნელი ორთოპედიული კონსტრუქციებით. რეზიდენტმა უნდა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოში არსებული ანომალიების, დეფორმაციების და დეფექტების შესახებ ანამნეზის შეკრების საფუძველზე.

- ა) აწარმოოს პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს ორგანოების გამოკვლევა;
- ბ) გამოავლინოს პათოლოგიური მდგომარეობის განვითარების მიზეზები;
- გ) შეარჩიოს საჭირო აპარატისა და პროთეზის ოპტიმალური სახეობა კონკრეტულ შემთხვევაში;
- დ) დიაგნოზის ფორმულირება;
- ე) დასახოს ორთოპედიული მკურნალობის გეგმა და ჩაატაროს მკურნალობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- ვ) განსაზღვროს კლინიკური და ლაბორატორიული ეტაპების შესრულების პროცესი ორთოპედიული კონსტრუქციის დასამზადებლად საჭირო მასალების და მედიკამენტების სახეობანი.

4. ლიტერატურის ნუსხა:

- ა) ორთოპედიული სტომატოლოგია, ტრეზუბოვი, შერბაკოვი, თბილისი, 2006.
- ბ) Occlusion in Restorative Dentistry. *Gross MD, Mathews JD.*
- გ) Prosthetic Treatment of the edentulous Patient. Fifth Edition. Basker RM, Davenport JC, Thomason JM.
- დ) Dental Implants. *NHS Cambridgeshire and Peterborough Public Health Network.*
- ე) Дентальная имплантология. В. Л. Параскевич. **II издание 2006**
- ვ) Практическая Дентальная имплантология. *Musheev, Olesova, Fromovich.*

5. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

№	თეორიული კურსი	პროფესიული უნარჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციების რაოდენობა	შეფასების მეთოდები
1.	მეორადი ადენტის მოსახსნელი პროთეზებით	ნაწილობრივი მკურნალობა	ანაბეჭდის მიღება ყბების ცენტრალური შეთანასოვნების განსაზღვრა	30 კლინიკური შემთხვევა

	<ul style="list-style-type: none"> - მოსახსნელი ხიდისებური პროთეზები - ნაწილობრივი ფირფიტოვანი მოსახსნელი პროთეზები - ბიგელისებური პროთეზები - ატაჩმენტები, მათი სახეები, გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები. - ნაწილობრივი ფირფიტოვანი მოსახსნელი პროთეზი მეატლის ბაზისით. - ნაწილობრივი ფირფიტოვანი მოსახსნელი პროთეზი ელასტიური ბაზისით „სამედიცინო სიხშირის“ თერმოპლასტიკებისაგან („ვალპლასტი“) 	<p>პროტეზის კონსტრუქციის დაგეგმვა რკალისებრი პროტეზის კარკასის შემოწმება მოსახსნელი პროტეზის კონსტრუქციის შემოწმება პროტეზის ჩასმა პირის ღრუს ჰიგიენა და საკონტროლო ვიზიტები</p>		<p>ბიდა პრეზენტაცია</p>
<p>2.</p>	<p>პროთეზირება კბილების მთლიანი დაკარგვის დროს. მეორადი სრული ედენტულიზმი.</p> <ul style="list-style-type: none"> - კლინიკური სურათი. კლასიფიკაცია - საპროტეზო ველის მდგომარეობის შეფასება - ფიქსაციის მეთოდები - ფუნქციონალური ანაბეჭდი - ინდივიდუალური კოვზი, მისი მორგება - მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზი პლასტმასის ბაზისისით - მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზი რბილი ბაზისისით - მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზი 	<p>ანაბეჭდის მიღება ყბების ცენტრალური შეთანასოვნების განსაზღვრა პროტეზის კონსტრუქციის დაგეგმვა მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის მეტალის კარკასის შემოწმება მოსახსნელი პროტეზის კონსტრუქციის შემოწმება პროტეზის ჩასმა პირის ღრუს ჰიგიენა და საკონტროლო ვიზიტები</p>	<p>20</p>	<p>კლინიკური შემთხვევები და ზეპირი გამოკითხვები</p>

	<p>მეტალის ბაზისისით</p> <ul style="list-style-type: none"> - საპროთეზო ველის ქსოვილების რეაქცია 			
3.	<p>რბილი და მაგარი სასის დეფექტების პროთეზირება</p> <ul style="list-style-type: none"> - მაგარი სასის შუა დეფექტის პროთეზირება კბილების არსებობის დროს - მაგარი სასის შუა დეფექტის პროთეზირება კბილების არ არსებობის დროს - მაგარი სასის გვერდითი და წინა მიდამოს დეფექტების პროთეზირება - პროთეზირება რბილი და მაგარი სასის ერთდროული დეფექტების დროს - პროთეზირება მაგარი და რბილის სასის თანდაყოლილი დეფექტების დროს 	<p>ანაბეჭდის ადება დეფექტის წინასწარი ტამპონადით რკალისებრი პროთეზების დაზადება, მათობური რეგული ნაწილი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზი დეფექტთან მორგვის გაკეთება (0.5-1.0მმ)</p> <p>ანაბეჭდის ადება ნაპრალის კიდებიდან ანაბეჭდის კორექცია და დათაბაშირება მოდელის შექმნა დეფექტით ნაპრალის ცვილის მოდელის შექმნა ობტურატორის დამზადება ობტურატორის ცხვირ-ხახის ნაწილი უნდა იყოს რბილი</p>		<p>კლინიკური შემთხვევები შემდეგის დაგვარად და რეფერატი (პრეზენტაციის სახით)</p>
4.	<p>პროთეზირება სახის დროს დეფექტების (ეგზოპროთეზები)</p>			<p>ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია</p>
5.	<p>პროთეზირება სასის და ყბების ალდგენითი ქირურგიის დროს</p>			<p>ზეპირი გამოკითხვები. პრეზენტაცია</p>

6.	იმპლანტებზე ფიქსირებული კომპიბინირებული პროთეზის დამზადება	<p>ანაბეჭდის ალება ტრანსფერებით ღია და დახურული მეთოდებით მეტალის კარკასისთვის ცვილის მოდელის დამზადება მეტალის კარკასის დამზადება მეტალის კარკასის მორგება (მოდელზე და პირის ღრუში) ვინირის ფერის განსაზღვრა ვინირის დაშრევა კარკასზე პროტეზის ფიქსაცია (აუცილებელია თხევადი ცემენტის გამოყენება) ცენტრალური ოკლუზიის კონტროლი და კორექცია ხრახნების დახურვა კომპოზიტური საბუნე მასალით პირის ღრუს ჰიგიენა და საკონტროლო ვიზიტები</p>		პრეზენტაცია
7.	იმპლანტებზე დაყრდნობილი სრული მოსახსნელი პროთეზის დამზადება	<p>ანაბეჭდის ალება დუბლირების მეთოდით დაუშლელი მოდელი იმპლანტის აბატმენტების ანალოგებით ცვილის ხარიხის დამზადება ხარიხის მოდელირება მეტალის ხარიხის მოდელზე ფიქსაცია და ინდ-კოვზის დამზადება მეტალის ხარიხის პირის იმპლანტებზე ფიქსაცია და ფუნქციური ანაბეჭდის ალება მეორე მოდელის</p>	3	კლინიკური შემთხვევა, ზეპირი გამოკითხვა

		<p>დამზადება (რბილი ქსოვილები და მეტალის მეზოსტრუქტურა) პროთეზის სუპრასტრუქტურაზე მორგება პირის ღრუს ჰიგიენა და საკონტროლო ვიზიტები</p>		
--	--	---	--	--

მუხლი 13. შეფასება

1. შეფასება ხდება კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით.
2. სწავლების/შეფასების პრინციპები: თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეფასება თვეში ერთხელ:
 - ა) შეფასების მეთოდები: შეფასება მოხდება მოდულის გავლის პერიოდში გამოვლენილი აქტიურობის გათვალისწინებით. თითოეული მოდულის გავლის შემდეგ თეორიული ცოდნის შეფასება ხორციელდება ტესტ-კითხვარებით, ზეპირი გამოკითხვით, კლინიკური შემთხვევების განხილვით და პრეზენტაციებით. მოდულის გავლის შემდეგ შეფასება მოხდება დღიურში დაფიქსირებული მის მიერ ჩატარებული თეორიული და პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე.
 - ბ) შესაფასებელი კომპეტენციები:
 - ბ.ა) თეორიული მზადების შეფასება:
 - ბ.ა.ა) ტესტ-კითხვარები;
 - ბ.ა.ბ) ზეპირი გამოკითხვა;
 - ბ.ა.გ) სიტუაციური ამოცანები;
 - ბ.ა.დ) პრეზენტაციები;
 - ბ.ბ) პრაქტიკული საქმიანობა:
 - ბ.ბ.ა) კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების დემონსტრაცია და ანალიზი;
 - ბ.ბ.ბ) პაციენტის დიაგნოსტიკა და პრევენციულ-სამკურნალო ღონისძიებების დაგეგმვის სადემონსტრაციო განხილვა.
 - ბ.გ) მონაცემთა შეგროვების და ფიქსირების საშუალებები:
 - ბ.გ.ა) რეზიდენტის დღიური;
 - ბ.გ.ბ) გაცნობილი ლიტერატურული წყაროების ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი და მათი ანოტაციების ზეპირი წარმოდგენა.